

«შრედიგებარის ბიძინა»



4

მმართველ პარტიას, უფრო ზუსტად კი — პარტიასა და მასთან შერწყმულ სახელისუფლო შტოებს გაჯანსაღება და შიგა ბალანსის აღდგენა სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, „მოქალაქეებისა“ და „ნაციონალისტების“ მსგავსად, სწრაფი დეგრადაციისა და თვითგანადგურების გზას დაადგება

რისთვის ბრუნდება ივანიშვილი?



უთავმოყვარეო და კიდევ უფრო უთავმოყვარეობები 8




«დასავლეთს საქართველოს ხელისუფლების სთავაზუი ჰყავს უპროჭრილი მონები და მონებს, კი არ მოუწოდებენ, უბრალოდ თითის ქნავით» 6

იაშვილის კლინიკა სკანდალში გახვია

2 თვის გომონას, რომელსაც ნაღვლის ბუშტი ამოჰკვეთეს, ქართველმა ექიმებმა გუცლის ღრუში დაუტოვეს ტამპონი, რომელიც ერთი წლის შემდეგ საფრანგეთში ამოულან 14



რატომ უნდა ისჯებოდეს კანონით რელიგიური ბრძანებების შეუჩინებლობა



ბატონ ირაკლის!

მამის უკანასკნელ გზაზე გაგაცილებთ და ვარდებს დაფუფუნთ ფიანდაზად ჩვენს მეგობარსა და კოლეგას, ქართული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო მოღვაწესა და ბრწყინვალე პიროვნებას — ირაკლი თოდუას.

ბატონ ირაკლის... ვარდობისთვის, მამის. ბუნების თვალის ახელის.

ჩვენ კი, „საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტიკები, უდიდესი მწუხარებით გულდამძიმებულელები, ვემშვიდობებით ბატონ ირაკლის, რომლის ხელმძღვანელობითაც წლების განმავლობაში, ერთ შემოქმედებით კოლექტივად შეკრულები, საქვეყნო ჭაბანს ვენეოდით.

უღელი გვედგა საქვეყნო საქმის ხელშეწყობის. ჩვენი მეზრეც იყო და პირველი სერელიც მას გაჰყავდა, ჩვენს გუთნისდედას, თანამედროვე გავლურებული ურთიერთობების ყამირზე და მშვიდობისა და სიკეთის იმედს თესავდა სამომავლოდ.

მკითხველთა შორის ჩვენი ავტორების პუბლიკაციების წარმატებით ხარობდა და ნაფორხილების მიტყვევის იმეითი უნართაც იყო დაჯილდოებული.

სიკეთით სავსე კაცის თვისებით. თაობათა შორის ხიდის გადების დიდოსტატი იყო, „დინოზავრების“ (მისი გამოთქმა) ცოდნისა და გამოცდილების და ახალთაობის მაძიებლური ენერჯის შერწყმის გზით, ჩვენს სლენგს თუ ვიზმართ, აკეთებდა გაზეთს, რომელმაც ინტელექტუალთა აღიარება მოიპოვა და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ პერიოდიკაში.

დღევანდელშიც და სამომავლოშიც. მხარში ამომდგომი იყო ყოველთვის: მედროვეთა მიერ კალაპოტიდან ძალადობით ამოგდებული არაერთი პროფესიონალი შეიფარა და დაუბრუნა ჟურნალისტიკას, ბევრი ახალბედაც გზაზე დააყენა ამ დიდბუნებოვანმა პიროვნებამ.

დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული, უსაზღვრო ფანტაზიით, მოვლენების მორეგში ოპერატიულად გარკვევაში, სწორი აქცენტების უმაღ გამოკვეთაში ბადალი არ ჰყავდა.

იდეების გენერატორი იყო. პრინციპულიც. ვერავინ დასწამებდა ცალმხრივობასა და მიკერძობებს. გუნდრუკი ხელისუფლებისთვის არ უკმევია, მაგრამ არც ისე ყოფილა, რომ წარმატებული ნაბიჯი სათანადოდ არ შეეფასებინა და სიკეთეზე დაეხუჭა თვალი.

მისი ეს ობიექტურობა გაზეთზეც აისახებოდა. ამიტომაც კითხულობდნენ „საქართველო და მსოფლიოს“, ამიტომაც ეცნობოდნენ ჩვენს ვებგვერდს ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე.

მხრები ჰქონდა გაშლილი და მეტის გასაკეთებლად სტარტზე იდგა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, უბედურება მაშინ დაგატყდება ადამიანს, როცა არ ელოდები...

გამონაკლისად ვერც ჩვენ „გაგვიმეტა“ არსთა გამრიგემ.

მშვიდობით, ბატონო ირაკლი, მსუბუქი იყოს შენთვის მინა სამშობლოსი, რომელიც გიყვარდა, რომლისთვისაც ირჯებოდი ისე, როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს შეჭფერის.

ეს დღეებია, შენს სამუშაო მაგიდაზე, შენს რედაქციაში, არდავინწყების სანთელს გინთებთ!

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია



ირაკლი თოდუა დაჯიჯიბა...

სამი ათეული წელიწადი დეკადანსის პირობებში ვცხოვრობთ — ქართული ხელოვნება, მწერლობა, კინო, თეატრი გაირყვნა, გადაგვარდა; არნახულ დაცემა-დაკნინებას განიცდის ქართული ჟურნალისტიკა...

ბოლომდე მაინც ვერ გვიგრძენია და გავისივრებოდა და ცემის ეფექტი, რომელიც სულ მალე გაცილებით მტკივნეული იქნება, რადგან კულტურის ყველა სფეროდან წავა, მართალია, უკვე სანთლით საძებნი, მაგრამ ჯერ კიდევ, ასე თუ ისე, შემორჩენილი თითო-ორი წყნარული ოსტატი თავისი საქმისა.

თავზარდამცემია ირაკლი თოდუას ასე მოულოდნელი, ასე დაუფერებელი, ასე წარმოუდგენელი, ასე უდროო წასვლა ამა სოფლიდან.

ქართულმა პუბლიცისტიკამ დაკარგა მალალი კლასის პროფესიონალი და გა-

ზეთის ჩინებული რედაქტორი, რომლისთვისაც ჟურნალისტიკა, პოლიტიკურ კონიუნქტურასთან პირადი ცხოვრების მორგების საშუალება კი არა, ერისა და ქვეყნის სამსახურში დგომის სარბიელი, ქვეშაირების ძიებისა და სამართლიანობისთვის ბრძოლის ასპარეზი იყო.

ცნობილია მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწე ლევან სანიკიძემ ერთხელ დაიწყო: ჩვენი დღევანდელი პრესა იმდენად ცრუ-პენტელაა, რომ მომავლის ისტორიკოსები ამ ეპოქის შესახებ წავლან მას არათუ დაეფრდნობიან, მისკენ არც გაიხედვენ.

ირაკლი თოდუას გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც ცრუპენტელობითა და სიყვითლით კი არ იზიდავს მკითხველს, არამედ მალაღობის პასუხისმგებლობითა და პროფესიონალიზმით ხიზლავს მას. ბ-ნ ლევან სანიკიძის ფორმულით თუ ვიხელმძღვანე-

ლებთ, მომავლის ისტორიკოსებიდან გვერდს ვერავინ აუვლის „საქართველო და მსოფლიო“, ვინაიდან ირაკლი თოდუა ამ მისი პირმშო გაზეთით, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა მხოლოდ ყოველდღიურ, არამედ ისტორიულ სიმართლეს ემსახურა.

ირაკლი თოდუა, მისი გულწრფელი, კაცური და ღიმილიანი ურთიერთობებით, მისი კოლეგიალური პატიოსნებითა და, სრულიად ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, მისი მამულიშვილური ვალდებულებით მუდმივად შემორჩება თანამედროვეთა მეხსიერებას, როგორც ოჯახის მემკვიდრისა და ქართულად აღზრდილობის თვალსაზრისით მაგალითი.

და კიდევ ბევრი რამის მაგალითი, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, დავკარგეთ...

გულწრფელი მწუხარებით, ვალერი კვარაცხელია, ჟურნალისტი

ირაკლი!

ვერ ვიჯერებ, რომ არ ხარ. სულ უნდა ყოფილიყავი, მეგონა. მე უნდა წავსულიყავი და შენ დარჩენილიყავი. შენ უნდა დაგენერა გამოსათხოვარი. პირიქითაა და ეს მზარავს, თუმცა მე რა მეთქმის, როცა დედაშენი მოესწრო ამ დღეს.

როდესაც კეთილი და დიდბუნებოვანი ადამიანი მიდის ამ სოფლიდან, დედამინაზე სიკეთის კიდევ ერთი წყარო შრება. თითქოს უდაბნო დატოვებ შენ გარშემო, ძალიან ხალხმრავალი უდაბნო. ყველას თავისი მოსაგონარი აქვს, ყველა სიკეთეს იხსენებს, ყველა შეძრულია. ცხოვრებაში პირველად ჩაიღინე ის, რასაც ლალატი ჰქვია. ჩუმად ნახვედი და ეს არ იყო ლალატი შენი ნეპით. ყველას ამხნეველები, ტკივილს უმსუბუქებდი, საკუთარს კი არავის აგებინებდი. ტკენით ხომ არავისთვის გიტკენია — დღემდე, როცა შენს სათაყვანებელ მუულებს ენით აუნერული ტკივილი მიაყენებ. პატარებმა ჯერ არ იციან. მათ ეს ტკივილი წინ აქვთ, ტკივილი და სიკეთე იმდენად, რომელსაც შეავსებ შენი ნაწერით. საქართველო და მსოფლიო აღარავინ იქნება ისეთი, როგორც შენს სიცოცხლეში იყო.

არა, ბრწყინვალეები არ გამომჩენია. აღარც გაზეთი იქნება ისეთი, თუმცა ამას რომ ვნერ, ალბათ, გულს გტკენ. რა ვქნა, ასე ვგრძნობ ახლა. თუმცა... ლალა ნადარევიშვილმა თქვა დღეს საუბარში, რომ გაზეთის მხოლოდ შენი მაია, ერთგული მეუღლე და მეგობარი, შენი მესაიდუმლე და ხვამიადის შემნახავი, გადაარჩენს. არ მიიკითხავ ნებართვა, როცა მიიხსივს აზრი საჯაროდ გავამხილე. ლალას ესმის, რას ამბობს. შენ და მაია ხომ „ასავალ-დასავალი“ გაციანით ერთმანეთი. ორივე, რასაც ამბობენ, „მწერალი“ ჟურნალისტიკაში ხართ. დღეს ესეც იშვიათობაა. მაიამ ყველაზე კარგად იცის, რას აკეთებდი და როგორ, რა მიზნებს ისახავდი და როგორ აღწევდი მათ. შენი შვილების გარდა, მას შენი კიდევ ერთი პირმშო ეყოლებოდა მისახვედრად, თუკი ეს გადანყვეტილება იქნება მიღებული. ეს მასაც გააძლიერებს და დამატებით მოტივაციას შესძენს, ჩვენ კი, ყველანი, მხარში ამოვუდგებით. იმდენად გაუსაძლისია უშენობის წარმოდგენა, რომ მაიამ უნდა შეგვიმსუბუქოს თავისი ყოფნით, განა მხოლოდ ყოფნით, შენი საქმის გავრძელებით.

უსასრულოდ შემიძლია წერა შენს სიკეთეზე, კეთილშობილებაზე, თანაგრძობის უნარზე, ბრძოლაში შეხიდეებაზე,

თუმცა ამ ყველაფერს სხვებიც იტყვიან. ეჭვს, შურისგებას, სხვის სიბოროტეს გულთან ახლოს არ იკარებდი. უფრო სწორად, ასე გვეგონა. არასოდეს იმჩნევდი, მაგრამ გულში ატარებდი. ველარ გაუძლო.

სხვა რომ მეგობარს მტრად აქცევდა, შენ პირიქით იქცეოდი. სიმართლეს არავის დაუარგავდი, ავკარგავდი განიხილავდი გარჩევას საოცარი ნიჭი გქონდა. მშვიდი და ღიმილიანი, არასოდეს თმობდი პოზიციას. ამ უპოზიციო ეპოქაში (პოზიციის მქონე პიროვნებებთან ბოლომდე ვიხიდი, მაგრამ ეპოქის სენია) ეს ასმაგად დასაფასებელია.

შენს მეგობრებში ბევრი სხვადასხვა აზრის ადამიანი არის. დღეს ყველა ერთ აზრზეა: ძნელია უშენოდ დარჩენა, ძნელია შენი იმედის დაკარგვა, თუმცა, სხვისი არ ვიცი და, მე იქაც მიმიდები, სადაც ნახვედი.

ყველანი მოვალე, აქაურობას არავინ გამოვეკერებით. მთავარია, უშენობა არც ოჯახს ვაგრძნობინოთ და არც გაზეთს. ძნელია ეს, მაგრამ უნდა ვეცადოთ.

ნანა დვდარიანი, გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი

«ირაკლი თოდუა პატრიოტი, პაუკასი კახი იყო, კახი, როგორც ღვთისმშობელი ისე კალიან სჭირდება, როგორც არასდროს»

დიდი დანაკლისი განიცადა ახალგაზრდა თაობამ, ჟურნალისტიკა საზოგადოებამ. მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი ირაკლი თოდუა.

ირაკლი თოდუა პატრიოტი, ვაჟკაცი კაცი იყო, კაცი, რომელიც დღეს ჩემს ქვეყანას ისე ძალიან სჭირდება, როგორც არასდროს. სიმართლისათვის მებრძოლი, მართალი, მეგობრებისათვის, ახლობლებისათვის, უცნობებისათვისაც კი თავდადებული ადამიანი. შექმნილი საუკეთესო გადანყვეტილების მიღება...

ირაკლი თოდუა რამდენიმე წლის წინათ გავიცანი ჯერ კიდევ „ასავალ-დასავალი“ მისი მოღვაწეობისას. ჩემთვის სხირად ჩამოურთმევია ინტერვიუ, მიქვეყნებდა მასალა, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო ჩემი მისდამი პატივისცემის მიზეზი, მხიბლავდა მისი ნებისმიერი ნაწერი ნებისმიერ საკითხზე.

ირაკლისა და ჩემი ახლობლობა გამოხატებოდა მის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში საქმისადმი. ის არა-

სოდეს იტყოდა ზედმეტ სიტყვას ურთიერთობისას, არც სხვას აკადრებდა რამეს და საკუთარ თავსაც ღირსეულად წარმოაჩენდა.

ირაკლი თოდუა იყო ძალიან კარგი მცოდნე ქართული ენისა, ბრწყინვალე დიპლომატიკურად, გახლდათ უაღრესად განათლებული ახალგაზრდა კაცი. თბილი იყო. საუბარში ჩანდა, რომ ადამიანებისადმი ნდობა ჰქონდა, ახასიათებდა გამოკითხვას, მაგრამ იმდენად დაეძინებოდა, რომ იმდენად მთავარია, ნებისმიერი საუბრიდან ყოველთვის სწორი აზრი გამოჰქონდა.

ირაკლისთან ურთიერთობა კიდევ უფრო გამოიღვანა, როდესაც მან დამოუკიდებლად დაიწყო გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ გამოცემა. იქ უკვე შეიკრა გუნდი და ირაკლი სათავეში ჩაუდგა იმ კეთილ საქმეს, რომელიც საქართველოსთვის უკეთესი მომავლისთვის ზრუნვაში გამოხატებოდა.

ირაკლი იყო დიდებული ოჯახის შვილი, მრავალშვილიანი მამა, არაჩვეულებრივი მე-

უღლე... დიდი ტრაგედიაა, როდესაც ასეთი ახალგაზრდა კაცი მიდის ამქვეყნიდან და ეს არ არის მხოლოდ მისი ოჯახის ტრაგედია. ირაკლი თოდუას გარდაცვალება ჩემი ოჯახისთვისაც დიდი დარტყმა იყო და მჯერა, რომ ჩემნაირი მრავალი ოჯახია მის გარშემო.

სურვილი ვერ ამისრულა, ისე წავიდა... მიწოდდა, ჩემთან, წეროვანში, ილია ჭავჭავაძის სახელობის დარბაზში ჩამოსულიყო. მოვიპატიუე და დამპირდა, რომ ჩამოვიდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო...

ირაკლი თოდუასთან მეგობრობით ბედნიერი ვიყავი; ვამაყობდი, რომ მისი სახით ჩემს ქვეყანას ჰყავდა შესანიშნავი მოქალაქე, პიროვნება, პატრიოტი, ნებისმიერი და პატიოსანი კაცი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ჯაშუბარი კატიაშვილი, საქართველოს მე-6 მოქალაქის პარლამენტის წევრი

ქართველებო, ირაკლი თოდუა აღარ არის!..

დახს, ქართველებო, რადგან, ჩემი აზრით (და იმედია, არა მხოლოდ ჩემი), თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ირაკლი თოდუა, უწინარესად, საქართველოს, ქართველ ერს მოუკვდა, მხოლოდ შემდეგ — ცოლ-შვილს, დედას, სანათესაოს, სამეგობროს...

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ზუგდიდში დაიბადდა ახალგაზრდა ირაკლი თოდუა და, მიუხედავად „მარტო-მარტოობისა“ მაშინდელ არქულ-დარულ დედაქალაქში არ ჩაიკარგა, მრუდე გზას არ დაადგა კოლხი ქართველი და მხოლოდ საკუთარი ნიჭით გაიარა რიგითი კორესპონდენტიდან დანყვებული ყველა საფეხური ქართულ ჟურნალისტიკაში, რაც ბოლოს გაზეთ

„საქართველო და მსოფლიო“ დაფუძნება-დაარსებით დაგვირგვინდა.

მოკლე ხანში კი ყველასათვის უცნობი გაზეთი ქართულ ჟურნალ მედიასივრცეში ერთერთ ნამყვან, სოლიდურ და, რაც მთავარია, ეროვნული, მართლმადიდებლური სულიკვეთების გამოცემად იქცა. სულსიკვეთებისა, რომლისთვისაც სააკაშვილის სისხლიანი ტერორის ფაშაც კი არ უღალატია გაზეთის რედაქტორსა და მის გუნდს.

„საქართველო და მსოფლიო“ ის გაზეთია, რომელიც ტოტალური ნეოლიბერალური მედიადიქტატურის არცთუ უსაფრთხო პირობებში, მხოლოდ ქართულ, ეროვნულ, მართლმადიდებლურ ღირებულებებს ქადაგებს...

ყველა საფლავის ქვას, როგორც წესი, გვარ-სახელთან ერთად, დაბადება-გარდაც-

ვალეების თარიღიც აწერია. ამ თარიღებს შორის პატარა, ოდნავ შესამჩნევი ტირეა ამოტივრული, რაც გარდაცვლილის ამქვეყნად, ნუთისოფელში ყოფნის ვადას ნიშნავს. ზოგისთვის მართლაც ნუთია ეს სოფელი, ზოგისთვის — ოდნავ მეტი, მაგრამ ამაქვეყნად ყოფნის ვადაზე მეტად განვლილი ცხოვრების შინაარსია მნიშვნელოვანი...

რაც შეეხება შინაარსს, 42 წლის განმავლობაში ირაკლი თოდუამ იმდენის თქმა მოასწრო, რომ ამაყად შეაბიჯებს იმ სასუფეველში, რომელშიც მხოლოდ მართლმადიდებლური მართლმადიდებლური მამულიშვილები განისვენებენ!

მსუბუქი ყოფილიყოს, ჩემო ჯიმა, შენს გულზე დაყრილი ქართული მინა!..

დავით მხეიძე, პუბლიცისტი

«კეთილშობილი საზოგადოება პატივს მიაგებს ამ ნიჭიერი ახალგაზრდა კახის სსოვნას»

ირაკლი თოდუამ ძალიან ახალგაზრდამ დაიწყო ჟურნალისტიკური მოღვაწეობა და ყოველთვის წარმატებული გახლდათ. მისი დიდი დამსახურებაა, რომ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ქართული მოწინავე გაზეთია საქართველოში. მკითხველი საზოგადოება, ხაზს ვუსვამ, მკითხველი საზოგადოება, პატივს მიაგებს ამ ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის სსოვნას.

ცოტა ხნის წინათ რამდენიმე ადამიანი ვისხედით და სწორედ „საქართველო და მსოფ-

ლიოზე“ ვსაუბრობდით. აღვნიშნეთ, რომ ეს გაზეთი გამოირჩეულია ქვეყნისთვის სიკეთის კეთების სურვილით და გამოხატავს ობიექტურ აზრს. იქვე დავძინეთ, რომ ამ ყველაფრის სულსჩამდგმელი, რითაც ეს გაზეთი მკითხველს ხიბლავდა, მისი რედაქტორი ირაკლი თოდუა იყო, კაცი, რომელსაც დიდ პატივს ვცემდი. მსიაბოვნებდა, რომ არსებობს ასეთი კეთილშობილი ადამიანი, რომელსაც მეუძლია გაზეთი უმაღლეს რანგში აიყვანოს, თანაც ძალიან მოკლე პერიოდ-

ში, რაც იშვიათი მოვლენაა. მას არასოდეს გადაუხვევია ქვეშაირების გზიდან, ხალხსა და ქვეყანას ემსახურებოდა.

მიჭირს ასე ახალგაზრდა კაცზე მსგავსი სიტყვების თქმა, მაგრამ... ღმერთმა ნათელში ამყოფოს ირაკლის სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მინა, ის მინა, რომელსაც თავად ასე ეთაყვანებოდა!..

ელიზბარ ჯაფელიძე, აკადემიკოსი

ირაკლი

22 წლის წინათ შემოაღეს „ასავალ-დასავალი“ კარი... მოიტანა ახალი სუნთქვა, უსაზღვრო ნიჭი და დიდი გული, რომელმაც ასე ადრინადად გიმტყუნა... შენს სტატიებს განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდნენ, ელოდნენ, ეფერებოდნენ... „ასავალ-დასავალში“ გაიცანი შენი მშვენიერი მეუღ-

ლე, უფრნლისტი **მაია მარგველანი**, რომელმაც დღეს უამრავი ცხარე ცრემლი დაგადინა... ჩვენც ავგავტირე, მაგრამ შენთან დამშვიდობებას ვერ ვახერხებთ — განა შეიძლება, დაკარგო ის, რაც ძალიან შენია! ნეტავი კვლავ 1996 წელი იყოს!

მეგობრები

ჩადაქტორი, დაატრიალე შენი «ჯიჰადის მახვილი»!

„ირაკლი თოდუა გარდაცვალა“ — ნაივითხე მესიფი და ვიგრენი, როგორ დამიარა ცხელმა ტალღამ სხეულში; ვიგრძენი, როგორ მომანვა ყელში ბურთი და როგორ გამიჭირდა სუნთქვა.

დაიძინა და აღარ გაიღვიძა.

დამეჩანა, ლოგინში სიკვდილისთვის დამენანა.

ვერ წარმოვიდგინდი, რომ მისი გამოსათხოვარი წერილის დაწერა მომიწევდა. ანდა როგორ უნდა წარმოვიდგინო — ჩვენ ხომ ამაზე არასოდეს ვფიქრობთ; გვეგონია, რომ მეგობრები სულ გვერდით გვეყოლებიან... მაშინაც კი, თუკი თვე ისე გავა, არც შევეხმინებოდა...

ამას წინათ ჩემს არქივს ვათვალიერებდი და რამდენი წერილი ვნახე, მღვიფრად რომ გასდევს ერთი სიტყვა — „დაწერე“!

ავტორის წერილს რომ გამოვიგზავნიდა დასამუშავებლად, თან მოაყოლებდა — დაატრიალე „ჯიჰადის მახვილი“, რაც მკაცრად გასწორებას გულისხმობდა. ახლაც ბოლო წუთამდე მივიყვანე, ჩემო ძმაო!

დავწერ, მაგრამ შენ, შენ ნაივითხე?! შენ დაატრიალეს „ჯიჰადის მახვილს“?!

მთელი დღე ვფიქრობდი, საიდან დამეწყო, კინოქრონიკასავით გარბის კადრები და სამშაბათზე ჩერდება. განსაკუთრებული დღე იყო სამშაბათი, როცა ირაკლი თოდუას ნიჭიერების ფეიერვერკი იწყებოდა — პირველი გვერდი! ყველამ ვიცოდით მისი „სისუსტე“ — პირველი გვერდი აუცილებლად გამორჩეული უნდა ყოფილიყო. და ამ დროს განსაკუთრებით იჩენდა თავს ირაკლი თოდუას პროფესიონალიზმი და „გაზეტჩიკის“ ალლო.

რას არ იფიქრებდა!..

ძალიან მაღალი თამასა ჰქონდა. თითოეული ნომერი უფრო და უფრო უკეთესი უნდა ყოფილიყო. პროფესიონალიზმი სძენდა სითამამეს — ბრწყინვალე უფრნლისტი და არაჩვეულებრივი რედაქტორი გახლდათ...

შესანიშნავი მეუღლე და საოცარი მამა იყო. როცა ტელეფონზე ურეკავდნენ და უცბად ხმა დაუთბებოდა, ვხვდებოდით, რომ მამას ელაპარაკებოდა. „ლომი ხარ!“ — პირველად რომ ვუთხარი, მკითხა, რატომო. და მეც ვუპასუხე: „იმითომ, რომ მეფე ხარ და მეუღლე დედოფალი გყავს“.

გაეცინა. მართა, მათე და ლაზარე — სამი ულამაზესი შვილი აჩუქა მამა მარგველანმა ირაკლი თოდუას.

უფროს ვაჟთან — რეზიკოსთან მისი დამოკიდებულება თვალნათლივ გვიჩვენებდა მამა-შვილის მჭიდრო კავშირს, რომელიც დიდ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას ეფუძნებოდა. არ მახსოვს, ხმამაღლა დალაპარაკებოდა — თითქოს უსიტყვოდ უგებდნენ ერთმანეთს.

კარგი მეგობარი იყო ირაკლი თოდუა — ერთგული და ყურადღებიანი. მან იმ დროს გამოიმჩნა ხელი, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა, როგორც ადამიანს და როგორც პროფესიონალს. სამოცდაოთხი თვე ვიმუშავეთ ერთად.

ჯერ თავს ვერ ვუყვრიდი სიტყვებს და ახლა კალამი გამეჭკვა. არადა, კიდევ რამდენი დამრჩა სათქმელი ირაკლი თოდუას სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე, სამშობლოს მიმართ მის დიდ სიყვარულზე, მის დიდ კაცობაზე...

ამის დროც მოვა...

ეს რა დამანერინე, რედაქტორო?!

ახლა მიდი და დაატრიალე შენი „ჯიჰადის მახვილი“, დაგვებრუნე ძველ რეალობაში — გაზეთის პირველი გვერდია გასაკეთებელი!

ბონდო

მეინარაშვილი, მელიაკვიში, „ობიექტივის“ მთავარი რედაქტორი



«ირაკლი თოდუა უდავოდ დააკლდა კეყანას, როგელსა ირაკლისნაირი შვილები, საეზნაროდ, სოტა ჰყავს»

ირაკლი თოდუა მკითხველს შინარსიან, საფუძვლიან, დღევანდელი ცხოვრებისთვის საჭირო სტატიებს, გაერთიანებს სთავაზობდა თავის ყოველკვირეულ გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“.

იმეფიად მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ადამიანი, რომელიც ისე კარგად შეაფასებდა შექმნილ ვითარებას და არა მხოლოდ შეაფასებდა, სამომავლო პერსპექტივასაც დაუსახავდა ნებისმიერს, როგორც ირაკლი თოდუა. ვინც ამ გაზეთს ნაივითხედა, სიმართლესაც შეიტყობდა და მომავლის იმედ-იც ჩაესახებოდა. ირაკლი თოდუა დააკლდა ქართულ პრესას, საზოგადოებას, დააკლდა ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მედია უყვარს, სადაც აზრის მოსმენა სურს. ირაკლი თოდუა უდავოდ დააკლდა ქვეყანას, რომელსაც ირაკლისნაირი შვილები, სამწუხაროდ, ცოტა ჰყავს.

ირაკლი თოდუა იყო ადამიანი, რომელიც ანალიზებდა ქვეყანაში არსებულ ვითარებას დეტალურად. იყო პირველი, სიმართლეს ამბობდა ყოველგვარი მორიდების გარეშე, მას არ სჩვეოდა ლაქუცი, რაც გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ლეიტმოტი-

ვად გასდევდა. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ირაკლი თოდუა იყო არა მხოლოდ ჭკვიანი და გონებამახვილი უფრნლისტი, არამედ უშიშარი ადამიანი, რადგან დღევანდელ ცხოვრებაში გულგრილობა და პირდაპირობა გულზე არავის ეხატება, პირველ რიგში, ხელისუფლებას...

სამწუხაროა, ასეთი ახალგაზრდა კაცის ამ ქვეყნიდან ასე უდროოდ წასვლა. ნათელი იყო მისი ვაჟკაციური სული!

კაპლან ჭიკაშვილი,
პოლიტოლოგი

ვად გასდევდა. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ირაკლი თოდუა იყო არა მხოლოდ ჭკვიანი და გონებამახვილი უფრნლისტი, არამედ უშიშარი ადამიანი, რადგან დღევანდელ ცხოვრებაში გულგრილობა და პირდაპირობა გულზე არავის ეხატება, პირველ რიგში, ხელისუფლებას...

სამწუხაროა, ასეთი ახალგაზრდა კაცის ამ ქვეყნიდან ასე უდროოდ წასვლა. ნათელი იყო მისი ვაჟკაციური სული!

კაპლან ჭიკაშვილი,
პოლიტოლოგი

ირაკლი თოდუა ვაჟკაცი, მეგობრობის, კანთოპოპოლოგის სიბოლო იყო

თავზარდამცემია ირაკლი თოდუას მოულოდნელი გარდაცვალება.

ქართულმა უფრნლისტიკამ, სრულიად საქართველოში უდიდესი დანაკლისი განიცადა.

ჩვენ გვერდით აღარ არის შესანიშნავი პიროვნება, ნიჭიერი უფრნლისტი და პუბლიცისტი, მაღალ-

ლი დონის პროფესიონალი ირაკლი თოდუა — ახალგაზრდა კაცი, რომელიც ვაჟკაცობის, მეგობრობის, კაცთმოყვარეობის სიმბოლო იყო, მის მიერ შექმნილი გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ კი პირუთვნელად ემსახურებოდა სიმართლეს.

ამ ქვეყნიდან ნავიდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავ-

ვისი მამულიშვილობით, პატრიოტიზმით, ოჯახისა და მეგობრების სიყვარულით მუდამ ემსახურებდა ყველას, ვინც მას იცნობდა.

უფალმა გაანათლოს მისი სული!

ბრივოლ ონიანი,
საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარე

«უღბოვალა სანუთრო, მან ამჯერად ირაკლი არ დაინდო...»

ძალიან მიჭირს ბატონ ირაკლი თოდუაზე, როგორც გარდაცვლილზე, რაიმე ვთქვა... ამ ახალგაზრდა კაცის მოულოდნელი გარდაცვალება მოკისმომგვერდია არა მხოლოდ მისი ოჯახის წევრების, ახლობელ-მეგობრების, არამედ თითოეული ადამიანისთვის; მათთვის, ვინც იცნობდა ამ უნიჭიერს და უწესიერს პიროვნებას.

ბატონმა ირაკლი თოდუამ ჩემი ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო, როცა სრულიად ახალგაზრდა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ მუშაობდა. გულწრფელად მიხაროდა, რომ ჩემი კუთხის შვილის სახით ქართულ უფრნლისტიკაში გამოჩნდა უაღრესად განათლებუ-

ლი, პროფესიონალი და ეროვნულ-ტრადიციულ ფასეულობებზე ორიენტირებული უფრნლისტი. მისი ინტელექტი, პროფესიონალიზმი და მორალური თვისებები განსაკუთრებით გამოვლინდა გაზეთის „საქართველო და მსოფლიოში“. დიდებული თვისებებით შემკობილი ამ ადამიანის დამსახურება ის, რომ მისი რედაქტორობით გამოცავალმა „საქართველო და მსოფლიო“ ქართული უფრნლისტიკის ამაზრუნველ და სულისმემკვიდრე სივრცეში მაინც მოახერხა დეზინფორმირებული საზოგადოებისთვის მართალი ინფორმაციის მიწოდება. ამისთვის მადლიერნი უნდა ვიყოთ, როგორც პირადად მისი, ასევე, ზემოხსენებული გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის

თითოეული წევრის.

უღბოვალა სანუთრო და მან ამჯერად ირაკლი თოდუა არ დაინდო... ძნელია, ანუგეგმო ჩიროსუფალი... მაგრამ მაინც მინდა, მივუსამძიმრო მისი ოჯახის წევრებს და ვუსურვო მოთმინება და გამძლეობა.

ასევე ვუსამძიმრებ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ შემოქმედებით კოლექტივს და ვუსურვებ, კვლავაც ისე ღირსეულად განაგრძოს საქმიანობა, როგორც ამას ენეოდა ბატონი ირაკლის რედაქტორობის პერიოდში.

ბატონო ირაკლი, მშვიდობით, უფალმა გაანათლოს თქვენი სული!

ზურაბ კვარაცხელია,
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ წევრი

«მეგობრობა, როგორც მაღალი პროფესიონალიზმის მეორე უჩინარესი»

ირაკლი თოდუა დამამახსოვრებდა, როგორც მაღალი პროფესიონალიზმის მეორე უჩინარესი, რომელიც უშუალოდ ეცნობოდა თითოეულ მასალას, ანონ-დანონიდა, შეაფასებდა და ისე ბეჭდავდა. იყო უაღრესად შრომისმოყვარე ადამიანი და პატივს სცემდა, როგორც საკუთარ თავს, ისე საზოგადოებას. ირაკლის-

თან საქმიანი კამათი ხშირად მქონია, მაგრამ ის ყოველთვის აგნებდა გამოსავალს, რითაც საუკეთესო შედეგამდე მივდიოდით.

თავზარი დამეცა, როდესაც დამირეკეს და ირაკლის გარდაცვალება შემატყობინეს. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მის მეგობრებს, კოლექტივს, ახლობლებს... არ მოიძებნება

სიტყვები, რომლებიც შევძლებ დამოცემას იმ მწუხარებისა, რომელიც ირაკლის უეცარმა გარდაცვალებამ გამოიწვია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!

ბულბაათი რცხილაკა,
„ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაცვალება გაზეთის მთავარი რედაქტორი

ირაკლი თოდუა

და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

პანაშვიდი 2 მაისს.
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვარტალი, 25-ე კორპუსი.
გამოსვენება 3 მაისს, 14 საათზე, წმ. იოანე ღვთისმეტყველის ტაძრიდან.
მისამართი: თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა №3 (საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ გვერდით).



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ქსენოფობიის ეტაპის“ მიწურულს მმართველ პარტიას, განსაკუთრებით რეპრეზენტაციას, ელიტარულ კორუფციასა და ნეპოტიზმში ჩაფლთვის აშკარა ნიშნები დაეძგო, ზუსტად ისე, როგორც ეს წინამორბედი მმართველი პარტიების პარტიების შემთხვევაში მოხდა. ჩინოვნიკების რამდენიმე საჩვენებელმა დაპატიმრებამ საზოგადოება ვერ დაამშვიდა. საბოლოოდ, ცხადი შეიქნა, რომ მმართველ პარტიას, უფრო ზუსტად კი — პარტიას და მასთან შეწყვეტულ სახელისუფლო შტოებს გაჯანსაღება და შიგნით გაწმენდა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, „მოქალაქეების“ და „ნაციონალისტების“ მსგავსად, სწრაფი დეგრადაციისა და თვითგანადგურების გზას დაადგება.

«შრედიგბერის ბიძინა» რისთვის ბრუნდება ივანიშვილი?

„ვა, ეს რა კარგი ვინეა, რა ჩქარა მიდი-მოდის, — მიუბრუნდა მამა იორამს განაწყენებული ბულიკა“, — ჩვენ შეგვიძლია გავისწავლოთ ეს ციტატა ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონიდან“ ან უფრო მარტივი და კონკრეტული ფრაზა: „ან მოსვლა რა იყო, ან წასვლა?“ (თუ პირიქით) იმისთვის, რომ შევედგეთ საუბარს ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებაზე ქართულ პოლიტიკაში.

საერთოდ, მსჯელობა „დაბრუნებაზე“ ზოგიერთ ექსპერტს არაკორექტულად მიაჩნია. ისინი მიუთითებენ, რომ ივანიშვილი არსად წასვლა და გადადგომიდან დღემდე ქვეყნის მართვას განაგრძობდა. სხვები კი ფიქრობენ, რომ ცვლილებებს პრინციპული ხასიათი ექნება, ამიტომ ტერმინი „დაბრუნება“ მისაღებია. მოკლედ, შრედიგბერის კატი-სა (აზრობრივი ექსპერტიზა, რომელიც შემოგვთავაზა ავსტრიელმა ფიზიკოსმა, კვანტური მექანიკის ერთ-ერთმა შემქმნელმა ერვინ შრედიგბერმა) არ იყო, რომელიც ერთდროულად ცოცხალიცაა და მკვდარიც, ბიძინა ივანიშვილი თან ბრუნდება, თან არ ბრუნდება. ალბათ, ახალი ტერმინი უნდა გამოვიყენოთ — „შრედიგბერის ბიძინა“.

ნეპოტიზმში ჩაფლვის აშკარა ნიშნები დაეძგო, ზუსტად ისე, როგორც ეს წინამორბედი მმართველი პარტიების შემთხვევაში მოხდა. მაღალჩინოსნების რამდენიმე საჩვენებელმა დაპატიმრებამ საზოგადოება ვერ დაამშვიდა. საბოლოოდ, ცხადი შეიქნა, რომ მმართველ პარტიას, უფრო ზუსტად კი — პარტიას და მასთან შეწყვეტულ სახელისუფლო შტოებს გაჯანსაღება და შიგნით გაწმენდა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, „მოქალაქეების“ და „ნაციონალისტების“ მსგავსად, სწრაფი დეგრადაციისა და თვითგანადგურების გზას დაადგება. სხვა საკითხია, საჭირო თუ იყო ამისთვის ივანიშვილის „დაბრუნება“.

თეორიულად, პრობლემების გადასაწყვეტად შესაძლებელი იყო სხვა სცენარის ამოქმედება — აშკარა ლუზურების საპატიო გადაყენება თანამდებობებიდან და ავანსცენაზე გახარბას, ბახტაძისა და ზოგიერთი სხვა ფიგურის გამოყენება, რომლებიც დასახულ ამოცანას თავს, სავარაუდოდ, (შედარებით) უკეთ გაართმევდნენ. მეტიც, ივანიშვილს სათანადო რეპუტაცია სკამზე (ალბათ, შავი დღისთვის) ჰყავს რამდენიმე კადრი, რომლებსაც შეეძლოთ შიდაპარტიული ცხოვრება ლაპარაკში პარტიის რიგში მეთოდებით დაეხმებინათ, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ, რაც უფრო ძლიერია ეს თუ ის ფიგურა, მით უფრო მეტად არ ენდობა მას ივანიშვილი და ამჯობინებს მორჩილ კადრებს დაეყრდნოს, თუნდაც სუსტი და უნიჭო იყვნენ. დიდი ალბათობით, ადრე თუ გვიან, ეს მის რეჟიმს დაღუპავს.

თავიდანვე ჩანდა, რომ ივანიშვილი უფროსის იმ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმს თამამად უპირისპირდებოდნენ. მან იცის, რომ გარკვეულ ვითარებაში შეიძლება შეეპასუხონ, მეტიც, მის წინააღმდეგ წავიდნენ, რადგან ხელისუფლებასთან კონფლიქტის არ უშინიათ. მან ამჯობინა, ძირითად დასაყრდენად „მორტირებულები“ გაეხადა, ამასთანავე, ახალგაზრდა კარიერისტები, რომლებიც სააკაშვილის მმართველობის წლებში საუკეთესო შემთხვევაში ჩუმად ისხდნენ, ხოლო წინსვლის ერთადერთი წინაპირობად ლიდერის მიმართ მონური მორჩილება მიაჩნდათ.

რა გააკეთა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ირაპალი კობახიძემ მდინარა-



მმართველ პარტიას, უფრო ზუსტად კი — პარტიას და მასთან შეწყვეტულ სახელისუფლო შტოებს გაჯანსაღება და შიგნით გაწმენდა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, «მოქალაქეების» მსგავსად, სწრაფი დეგრადაციისა და თვითგანადგურების გზას დაადგება

ქსენოფობიის ეტაპის დასრულება და პერსონალურად გიორგი კვიციანიშვილის მუშაობით. ამას განაპირობებდა, როგორც ობიექტური ეკონომიკური სიტუაციები, ისე ხელი-სუფლების მოქმედი მოქმედებები კრიზისულ ვითარებაში (მაგალითად, ზაფხულის ხანძრების, მშრომელთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს). სერიოზული ზიანი კვიციანიშვილის ინიციატივით და დაეძგნა — შესაძლებელია, ის დღემდე ვერ მიხვდა, რომ (მაგალითად) ალექსანდრე ჯეჯელავას თანამდებობაზე დანიშნვა „ქართული ოცნების“ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა აღიქვა, როგორც შეურაცხყოფა, მაგრამ რეალურად გონივრულად რომც მოქცეულიყო, მისი ავტორიტეტი ნებისმიერ შემთხვევაში თანდათან დაეცემოდა, რადგან ძალიან ბევრი მოქალაქე აღიქვამდა მას, როგორც ბიძინა ივანიშვილის უნებაცხოდ მარიონეტს, რომელსაც თუნდაც მცირე დამოუკიდებელი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია.

როგორც უკვე ვთქვით, ივანიშვილს შეეძლო, კულისებში დარჩენილიყო და ასპარეზზე ახალი, უფრო ძლიერი კადრები გამოეყვანა, მაგრამ მან განწყვიტა, „დაბრუნებულიყო“. შიში, რომელსაც ის (პოტენციურად) ძლიერი ვასალები მიმართ განიცდიდნენ, ამის ერთადერთი მიზეზი, სავარა-

უდოდ, არ არის. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების გაღიზიანება და ნეგატიური დამოკიდებულება იმ სისტემის მიმართ, რომლის ფარგლებში, გაუგებარია, ვის და როგორ უნდა მოეთხოვოს პასუხი ნაწილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში სულ უფრო ხშირად აფასებდნენ კრიტიკულად „არაფორმალურ მმართველობას“ და, შესაძლოა, ივანიშვილმა აღიქვა ეს, როგორც გაფრთხილება — არაფორმალური მმართველობის დასასრულებლად ხომ არაფორმალური მეთოდების გამოყენება შეიძლება.

ასეა თუ ისე, ივანიშვილი, სავარაუდოდ, შეეცდებოდა, აარღებოდა „ქართული ოცნება“ იმ საბედისწერო მარშრუტს, რომელიც „ექსპანსიის ეტაპის“ P.S. 1 მაისის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკური საბჭო 15 ნევრით დაკომპლექტდა. საბჭოს ახალი შემადგენლობა ასეთია: „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-ინფრასტრუქტურის მინისტრი მათა ცქიტიშვილი და საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრი ირაკლი კობახიძე, პირველი ვიცესპიკერი თამარ ჩუგოშვილი, ვიცესპიკერი გიორგი ვოლსკი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ილია ნაკაშიძე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე, აგრეთვე, პარლამენტის წევრები: დიმიტრი სამხარაძე, ბიძინა გვიციანი, ირაკლი ტრიპოლსკი, მთავრობის წევრები: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მათა ცქიტიშვილი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარე; ასევე „საპარტიორო ფონდის“ თავმჯდომარე დავით საგანვიძე და თბილისის მერი კახა კალაძე.

დასრულების შემდეგ „მოქალაქეების“ და „ნაციონალისტების“ გაიარეს. ეს, დიდი ალბათობით, პარტიული ცხოვრების დემოკრატიზაციის კი არა, „ქანჩების მოჭერისა“ და პარტიის ავტორიტარული ვერტიკალის გამყარების ხარჯზე მოხდება. იმ პერიოდში, როდესაც ივანიშვილი კულისებთან მოქმედებდა, მან თითქმის გამართო (ან, ყოველ შემთხვევაში, შეანელა) წამშობი, რომელიც ირთვება იმავდროულად ნინაალმდეგობები დაგროვდება, საკადრო ინტრიგები სასურველ შედეგს აღარ მოიტანს, ხოლო ხალხი მეტ თავისუფლებას მოითხოვს. 2017-18 წლებში ივანიშვილი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესის რადიკალიზაციის თითქმის გაქრა, ოპონენტების „მთავარი მიზანი“ გაცილებით იშვიათად ხდებოდა, ვიდრე ადრე. ახლა კი, „ისტორიის წამშობი“ მისთვის ისევე ჩაირთო.

„არაფორმალური მმართველობის“ პერიოდში რეჟიმმა ფესვები გაიდგა, ხოლო ოპოზიცია უკიდურესად დასუსტდა. ამ ფაქტორებს ემატება ის, რომ ივანიშვილის „დაბრუნება“ „ქართულ ოცნებას“ გარკვეული იმპულსი მისცა და მის მხარდამჭერებს ახალი იმედები ჩაუსახა (მათ შორის, გველენის სფეროების გადანაწილების თაობაზე). თუ არ მოხდება რაღაც მოულოდნელი კატასტროფა, მმართველ პარტიას ექნება ყველა შანსი იმისთვის, რომ არა მხოლოდ 2018 წლის საპარლამენტო არჩევნებში საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნებში მოიგოს. შემდეგ კი დაიწყება დიდი საარჩევნო პაუზა 2024 წლამდე.

ხელისუფლების მთავარი პრობლემა არის ის, რომ მოსახლეობის შეცდომაში შეყვანა ციკლებით რთული გახდა, ვინაიდან მას „ქართული ოცნებასთან“ ურთიერთობის სერიოზული გამოცდებები დაუგროვდა. მმართველმა პარტიამ უნდა ჩაატაროს მომნიშვნელოვანი (და გადამნიშვნელოვანი) ინსტიტუციური რეფორმები, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შევა კონფლიქტში საზოგადოებასთან, იზოლაციაში მოექცევა და, წინამორბედების მსგავსად, ხელისუფლებას დაკარგავს. ბიძინა ივანიშვილი შეიძლება იყოს კარგი ტაქტიკოსი, მაგრამ, თუ ის დემოკრატიზაციის, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გაჯანსაღების მოთხოვნას ვერ დააკმაყოფილებს, სავარაუდოდ, ზუსტად ისე დაასრულებს, როგორც მიხელო სააკაშვილმა დაასრულა 2012-ში და სმრშ სარბს-ინამა ერთი კვირის წინათ.

„ოცნების განხილვის“ მოლოდინით აპროტირებული აპტივისტები რატომ ასევე ერთხმად არ სთხოვენ სხვაგვარ — ზარდიაშვილს, თალაკვაძეს, ჩუბოშვილსა და კიდევ არა ერთ „ოცნებელ“ პარლამენტარს, უპასუხე უმფროსსა? რა, განა მხოლოდ მდინარაძეა საქართველოს 2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლოვანი ისეთი, ვინც „გავშვობიდან მანდა ზის“ და ვისაც შეიძლება თამაგად დავუსვამთ კითხვა: როგორ, როდის და საიდან მოხვდი მანდა?



გაქარჯი სვანიძის
სააპოლოგო მხარე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკური აბრუნდ-დაბრუნდი, ანუ «უპასუხეთ უმფროსსა»!

მეტ-ნაკლებად დასტაბილურებული ქართული პოლიტიკური სივრცე გასულ კვირაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებამ შეაქანა. საიდან მოხდა ეს შექანება — ზევიდან, ქვევიდან, მარცხნიდან თუ მარჯვნიდან, ამას, უკვე მთელი კვირაა, არკვევენ ქართული პოლიტიკის ექსპერტი „მარკუიდეტები“. მაგრამ ისევე, როგორც სხვა დანარჩენ საკითხებზე წარმოქმნილ კითხვებს, როგორც ჭეშმარიტ ექსპერტებს შეეფერებათ, საბოლოო, სწორი და ლოგიკასა და ჭკუასთან ახლოს მდგომი პასუხი მათ ჯერჯერობით ვერ გასცეს. თუმცა მე ის უფრო მაინტერესებს, რა განსხვავებას ხედავს ეს ხალხი იმაში, ბიძინა ივანიშვილი შეკვეთილში იჯდება, ურეკში, საჩხერეში, სოლოლაკის შუშებში თუ როსტომის სასახლეში.



საიდან დაბრუნდა ქართველი მილიარდერი? თუ ვინმე იმას გულისხმობს, რომ იგი შეკვეთილიდან დაბრუნდა თბილისში, კიდევ ჯანდაბას — მანძილი მაინც არის შორი და მთელი 350 კილომეტრი გამოუვლია კაცს. ეს შეიძლება ლირდეს კიდევ აუთოტაჟად. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ?! საიდან და რანაირად დაბრუნდა ბატონი ბიძინა? რა, ნოთუ ვინმას სჯობა, რომ აქამდე „ქართულ ოცნებაში“ გუზი მაინც შეფრინდა და „უმფროსთან“ შუშებშია?

ერთხმად სთხოვდა მდინარაძეს, — აბა, უპასუხე უმფროსსაო. მამუკა მდინარაძე ჯერჯერობით „უმფროსისთვის“ პასუხის გაცემას არ ჩქარობს, თუმცა მაინტერესებს, „ოცნების“ განმმენდის“ მოლოდინით აპროტირებული აქტივისტები რატომ ასევე ერთხმად არ სთხოვენ სხვებსაც — ზარდიაშვილს, თალაკვაძეს, ჩუბოშვილსა და კიდევ არა ერთ „ოცნებელ“ პარლამენტარს, „უპასუხე უმფროსსაო“? რა, განა მხოლოდ მდინარაძეა საქართველოს 2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობაში ისეთი, რომელიც „ბავშვობიდან მანდა ზის“ და ვისაც შეიძლება თამაგად დავუსვამთ კითხვა: როგორ, როდის და საიდან მოხვდი მანდა? სწორედ ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ კონცერტი ბიძინა ივანიშვილის ამ გამომდომასაც და „ოცნების“ აქტივისტთა შესაბამისი ფივილ-ხივილსაც.

განხილული «ოცნება» ჯერაც ისევ ოცნებად აქვს ქვეული ქართულ ხალხს. ბიძინა კი უკვე ატარებს ჩვეულ კონსერტებს ხალხზე იმ შთაბეჭდილების დასატოვებლად, თითქოს მართლაც რაიმე «ნენდა» და «მარკუიდეტები» გზადგებოდეს «ოცნებაში»

კეთილი, თუნდაც ვინმემ დაგვაჯეროს დაუჯერებელი, რომ 2016 წლის არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო ბიძინა ივანიშვილის ჩარევის გარეშე დაკომპლექტდა, მხოლოდ ახლად მოვიდა გონს ბიძინა და თავის გარემოცვას მისდგა: ეს რა მიქენი, რატომ დამლუპეთ, ეს რა ხალხი მოგიყვანიათ პარტიამ და როგორ დაგინიანაურებიო ათ... ვინ არიან ესენი, საიდან მონახეთო? თუნდაც დავიჯეროთ ეს სრული სისულელე, როგორ ფიქრობს ბიძინა ან რას ფიქრობენ ის „პიარმიკები“, რომლებიც ახლა ბიძინას ამ კონცერტებს ადგმევენებენ — საზოგადოების დიდ ნაწილს დაავინწყდა, ვინ დაამკვიდრა ტერმინი „სისტემის მსხვერპლები“? ეს ტერმინი ხომ სწორედ ნაცების ყოფილ თანაგუნედ ნაცებმა დააქტივისტებეს ეხებოდა და სწორედ ამ „ქოლგით“ ხდებოდა მათი პორტირება „ქოცებში“. ვინ წარმოთქვა და დაამკვიდრა ეს ტერმინი?

ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ვანო მარაბიშვილს „ნიჭიერი მენეჯერი“ უწოდა და მხოლოდ მას შემდეგ გამოამწყვდია ციხეში, რაც ვანო ამ ტიტულით არ მოიხიბლა?

ვინ იყო ის კაცი, რომელიც ღრმა სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ზურაბ ადენიშვილმა უარი შეუთვალა, მისი გუნდის წევრი გამხდარიყო?

ვინ იყო ის კაცი, რომელმაც „სიცრუის მანქანის“ თანამშრომელ ჟურნალისტებს პრეფერენციები უწოდა და მათი გადაბირებაც პირადად დაინყო?

დიახ, ეს „მამუკა“ სწორედ „ან დაბრუნებული“ მილიარდერი ბიძინა ივანიშვილია. აქედან გამომდინარე, ძალიან კომიკურია თვალსაზრისი, თითქოს ბიძინა არა მხოლოდ „პორტირებულებს“, არამედ იმათაც დასჯის, ვინც მათ ხელი შეუწყო პორტირებაში.

ასეთ შემთხვევაში ბიძინას საკუთარი თავის დასჯა მოუწევს და, სანტარასო, როდის და რა ფორმით ჩაატარებს ივანიშვილი „შპს-სი-მასპაის“ თვითდასჯის რიტუალს?

სხვათა შორის, არანაკლებ საინტერესოა ნაციონალების ბანაკის შემოფოტება და ერთ-ერთობლივ სპექტაკლს დგამენ, ერთი და იმავე ნარკოტიკს ენევიან თუ ორივენი ცალკეულ მახოხიზმით არიან დაეცევილები? სად იყო ეს კაცი ნასული და საიდან დაბრუნდა? ან ერთს რა „აჟიმფიშებს“, ან მეორეს რა უხარია?

ყველაზე საოცარი კი არის ზოგიერთი „ოცნებისტი“ არგუმენტი — თუ მართლაც „აჟიმფიშებთ“ ნაცებს, აი, მხოლოდ მაგის გამოც ღირდა ბიძინას დაბრუნებაო.

თუნდაც ქალიან ცუდას და გოროს, თუ „აჟიმფიშებს“ და ეს ითვლებოდეს საკმარისად სახელმწიფოს განვითარებისთვის? ანუ, თუკი „ნაცებს აჟიმფიშებთ“, მორჩა, გადენიარებიო?

ვამა! რა კარგია! „ნაცებს აჟიმფიშებთ“ — აი, ამ სამაჟიმფიშების საცქერლად ხომ ღირს მიმშილიც, უმუშევრობაც, ახლობელი ადამიანების ვერმკურნალობაც და, საერთოდ, ყველაფერი უბედურება. დაე-თმით ყოველგვარი ამბიციანი ნორმალური სახელმწიფოს აშენებისა, არ გამოვთქვათ ადამიანურ პირობებში ცხოვრების სურვილი, ხმა არ ამოვიღოთ და დავტკბეთ იმით, როგორ „აჟიმფიშებს“ ნაცებს ბიძინა ივანიშვილი! — აი, ეს არის ქართული „ობივატელი“ ტვინში ყველაზე მეტად ჩაქვდილი ტერმინი.

ქართული სახელმწიფო საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე, ანუ მთელი 27 წელიწადი ვილაცის „დაბრუნების“ მოლოდინით ცხოვრობს. ბევრს დღემდე სჯერა, რომ „ზევიადი დაბრუნდება“. 1990-იანების შუაწლებისთვის კი

ზევიადის მომლოდინეები ნამდვილად არ იყვნენ თითზე ჩამოსათვლელი. „მიშა დაბრუნდება“, უკვე 6 წელია, გვესმის. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც კი მოიძებნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ელზარდ შავარდნაძე რევანშის შედეგად დაბრუნებოდა ქვეყნის სათავეში. ბიძინას დაბრუნებამ კი, აგერ, უკვე ვხედავთ, რამხელა აუთოტაჟი გამოიწვია. ამ „დაბრუნებების“ მოლოდინებს თავისი ლოგიკური პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, რადგან „დაბრუნების“ შესახებ ხმების გავრცელებას არა მხოლოდ თვითონ „დაბრუნების პრეტენდენტი“, არამედ მოქმედი მთავრობაც უწყობს ხოლმე ხელს იმ მიზნით, რომ მათი მომხრე უმრავლესობა გამუდმებით შიშში ჰყავდეს. მაგალითად, როდესაც საქართველოში ხელისუფლება სამხედრო გადატრიალების შედეგად მოსულმა „სამხედრო საბჭომ“ და შემდეგ მოსკოვიდან დაბრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ ჩაიგდო ხელში, საკმაოდ ძლიერი ტრენდი იყო „ზევიადი დაბრუნდება!“ ამას ორივე მხარე უწყობდა ხელს, რადგან თუ ერთნი საყვარელ ბელადს ელოდნენ, მეორენი დასჯისა და პასუხისგების შიშით ყველაფერს აკეთებდნენ და შევარდნაძის მთავრობას ყველა შეცდომას მიუტყევედნენ, ოღონდ ზევიადი არ დაბრუნებულყო, ამიტომ მთავრობასაც ხელს აძლევდა ეს მუდმივი „ზევიადი დაბრუნდება“.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგაც, განსაკუთრებით, მიშას ხელისუფლებისთვის დამანგრეველი 2007-2008 წლების კრიზისის შემდეგ, ყველაზე პოპულარული გამოთქმა იყო „90-იანი წლები დაბრუნდება!“, ანუ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც უკვე ბოლომდე იყო გაფარჩაკებული, იმ ხავეს მოეჭიდა, რომ, თუკი მიშას გაევა დედად, შევარდნაძის მიმართ ინდელი კორუფცია, უშუქობა თუ კიდევ სხვა უბედურება დაბრუნდებოდა ქვეყანაში და ამის შიშით ნაცებისთვის ნებისმიერი თავგებოდა უნდა გვეპატიებინა და შეგვეჩინა.

უკვე 6 წელიწადია, ვცხრობოთ შიშით — არიქა, მიშა დაბრუნდება, ნაცები მოგზუნდებიან და დედან გვიტყვიან. აი, ამის გამო ყველაფერი უნდა შევარდნაძის „ოცნებას“, მის პორტირებულ თუ არანაკლებ ოდიოზურ არაპორტირებულ თუ შიშისარდნილ მაღალჩინოსანებს და ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ და მხოლოდ „ბრძენი მილიარდერი“ უნდა ვეპასოთ, რადგან, თუ ასე არ მოვიტყვიებთ, ქვეყანაში ნაცები, მარაბიშვილები, ახალიაბი მოგზუნდებიან.

ბავშვობაში წამიკითხავს ქართულ ხალხურ ზღაპრებში ერთობ უცნაური ნივთი — აბრუნდ-დაბრუნდის შესახებ, რომლის საშოვნელადაც მეფეები ფათერაკებით აღსავსე გზაზე გაზვინდნენ ერთგულ ქვეშევრდომებს. საბოლოო ჯამში, ეს ნივთი რას წარმოადგენდა, ვის რისთვის სჭირდებოდა და რატომ იკლავდნენ მის დასაუფლებლად თავს, მაინც ვერ გავიგე.

აი, დაახლოებით ასეთი სიტუაციაა დღეს ქართულ პოლიტიკაშიც...

უკვე 6 წელიწადია, ვცხრობოთ შიშით — არიქა, მიშა დაბრუნდება, ნაცები მოგზუნდებიან და დედან გვიტყვიან. აი, ამის გამო ყველაფერი უნდა შევარდნაძის „ოცნებას“, მის პორტირებულ თუ არანაკლებ ოდიოზურ არაპორტირებულ თუ შიშისარდნილ მაღალჩინოსანებს და ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ და მხოლოდ „ბრძენი მილიარდერი“ უნდა ვეპასოთ, რადგან, თუ ასე არ მოვიტყვიებთ, ქვეყანაში ნაცები, მარაბიშვილები, ახალიაბი მოგზუნდებიან



ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლება კალიან ცდება, თუ თვლის, რომ, ერთი შეხედვით, ინერტული და იმედგაცრუებული საზოგადოება ყველაფერს შეეშება. ასეთი განცდა ჰქონდა თავის დროზე საბაკაშვილს, როცა ყველაფერი გასდმოდა და როგორც დაამთავრა, ვნახეთ. საერთოდ, გმონია და, ალბათ, გეძრის აქვს დღეს ასეთი მოლოდინი, რომ ჩვენი საზოგადოება რაღაც ეტაპზე აფეთქდება. არ შეიძლება, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციების ძველანაირი აღმშენებელი გახდეთ ითმინონ შეურაცხყოფა, არ შეიძლება, ხალხი დუმდეს, როცა ძველანა ალსასრულის პირასაა“.



ელიზბარ ჯაგელიძე: დასავლეთს საქართველოს ხელისუფლების სათავეში ყველაფერს შეეშება, თუ თვლის, რომ, ერთი შეხედვით, ინერტული და იმედგაცრუებული საზოგადოება ყველაფერს შეეშება. ასეთი განცდა ჰქონდა თავის დროზე საბაკაშვილს, როცა ყველაფერი გასდმოდა და როგორც დაამთავრა, ვნახეთ. საერთოდ, გმონია და, ალბათ, გეძრის აქვს დღეს ასეთი მოლოდინი, რომ ჩვენი საზოგადოება რაღაც ეტაპზე აფეთქდება. არ შეიძლება, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციების ძველანაირი აღმშენებელი გახდეთ ითმინონ შეურაცხყოფა, არ შეიძლება, ხალხი დუმდეს, როცა ძველანა ალსასრულის პირასაა“.

„ევროკავშირი საქართველოს მოუწოდებს, „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის ეფექტიანად განხორციელება მომავალშიც მტკიცედ განაგრძოს“, — ნათქვამია გაერთიანების ოფიციალური წარმომადგენლის, მაია კოსიჯანჩიჩის, მიერ რამდენიმე დღის წინათ კავრცელებულ განცხადებაში.

განცხადების თანახმად, საქართველომ პრინციპული დემოკრატიული პოლიტიკით უკვე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ეთნიკური უმცირესობების დაცვის, მათი სამოქალაქო ინტეგრაციისა და, საზოგადოდ, გამოხატვის თავისუფლების მიმართულე-ბით, თუმცა ამ მხრივ მთავრობას კიდევ არაერთი ნაბიჯი აქვს გადასადგმელი. განცხადებაში ასევე საუბარია სხვა უმცირესობების უფლებებზე და საზგასმულია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიური, გენდერული, სექსუალური უმცირესობების დაცვა: „ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს, რომ გაგრძელებდეს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტიანად განხორციელებას, მათ შორის, კერძოდ სექტორში. დი-ალოგის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ერთგულება, რელიგიური აღმსარებლობის, მრწამსის, რასის, სქესის, ენის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, შესაძლებლობის ან რაიმე სხვა ნიშნის მიუხედავად. ევროკავშირმა ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ განხორციელებულ წინსვლას ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში და მოუწოდა მთავრობას, გაგრძელებდეს ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმას, — ნათქვამია განცხადებაში.

— ბატონო ელიზბარ, ევროკავშირი უკვე დაუფარავად მიუთითებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ „ანტიდისკრიმინაციული“ კანონი უფრო ეფექტიანად უნდა განხორციელდეს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება ამაში იგულისხმებოდეს? რას ნიშნავს უფრო ეფექტიანად განხორციელება?

— არაერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ მთელი უბედურება, სრულიად ქართველი ერის ტრაგედია დაიწყო ამ კანონის მიღების დღიდანვე, თუმცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამას ბოლომდე ვერ აცნობიერებდა და მგონია, რომ ხალხი დღესაც ვერ ხვდება, რა მზაკვრობა დღეს ამ ავადსახსენებელ კანონში.

რაც შეეხება ჩვენი „მეგობრებისა“ და „კეთილისმსურველი“ ევროპელი მაღალჩინოსნების ეფექტიანად განხორციელებას, თავის დროზე, როცა პარლამენტმა „ანტიდისკრიმინაციული“ კანონი მიიღო, ევროკავშირის მაღალჩინოსნები მას ქვეყანაში ძირეული ცვლილებების დასახეისად აფასებდნენ. მათი განმარტებით, აღნიშნულ კანონს უახლოეს მომავალში სხვა ცვლილებებიც უნდა მოჰყოლოდა, რომლებიც საბოლოოდ ქართულ კანონმდებლობას სრულ შესაბამისობაში მოიყვანდა ევროპულ „სტანდარტებთან...“

რას ნიშნავს „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის უფრო ეფექტიანად განხორციელება და რა საკანონმდებლო ცვლილებებია მომავალში მოსალოდნელი — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პუბლიცისტი და მეცნიერი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაგელიძე.

ინტობასა და თვითმყოფადობას ეხება. ასევე გამოიყენება და შეიძლება ითქვას, რაღაც მანიაკური სახე მიიღო ლგბტ-ების უფლებებზე, მათ დაცვაზე და იმაზე საუბარმა, რომ თურმე ეს ადამიანები საშინლად იჩაგრებიან, რომ საქართველო ამ მხრივ ვერ „შუასაუკუნეობრივ სიბნელეში“ და საჭიროა ერის ფუნდამენტური გარდაქმნა, მენტალური შეცვლა და „განათლება“. სხვათა შორის, ამ სიტყვაში „ლიბერალურმა“ პროპაგანდამ უკვე ისეთი მზაკვრული შინაარსი ჩადო, რომ, როცა საუბარია ვინმესთვის განათლების მიცემაზე, უკვე ეჭვი გიჩნდება. იმიტომ, რომ მცდე-

ბითმან და ჩამოყალიბდა ისეთი ბარამო, რომელიც ყველას და ყველაფერს უფლება დაცულია, გარდა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანისა, ხალხისა, რომელმაც არ მიიღო „ლიბერალური ბარამონილება“ და გააიძვანა ამ ყველაფერს. ნახეთ, ყველაფერს, ყველაფერს არ მიიღო ქალაქის უფლები არიან სწორედ დასავლური აზრისი უფრო „ლიბერალიზმის“ ყურმობრილი მონები. პოლიტიკა, ბიზნესი, კალაუფლება, მთლიანად მათ ხელშია და სხვა იდეოლოგიის ადამიანს, უბრალოდ, პარსკაპტივა არ აქვს.

სამოქალაქო პარტნიორობის უფლების მინიჭებაზე ამას წინათ სახალხო დამცველიც ალაპარაკდა. ესეც საზგადონია? — ცხადია. ახლა ბარამონი-ლი კალაქი ხელისუფლებაში ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ევროპა არაა არაფერი აპალუსს და ყველაფერი თავისუფლები ვართ, მგზრად დასავლური აზრისი უფრო „ლიბერალიზმის“ ყურმობრილი მონები. პოლიტიკა, ბიზნესი, კალაუფლება, მთლიანად მათ ხელშია და სხვა იდეოლოგიის ადამიანს, უბრალოდ, პარსკაპტივა არ აქვს.

დავს მინდომ და ჩვენ თავი დავაგვანებო. რაც შეეხება სახალხო დამცველს: როდესაც ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე ლომჯარისანანი ქალს ნიშნავენ, ის ქვეყანა უკვე დაღუპულია; და ლომჯარია მომავალში უარესს მოითხოვს, სანამ ქართველი ხალხი მას არ მიაბრძინებს საქართველოდან. — ფიქრობთ, რომ საზოგადოება, რომელიც დღეს ნიშნის მისთვის მიუღებელი თანამდებობის პირების გასტუმრებას შეძლებს? — გეტანხმებით, „ლიბერალურმა“ პროპაგანდამ წლების განმავლობაში ისე იმუშავა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს სრულიად ინერტულია, მაგრამ არ შეიძლება, ეს უსასრულოდ გაგრძელდეს. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობენ ქვეყანაში ადამიანები, რომლებიც მზად არიან, ყველა საშუალებით დაიცვან თავიანთი ზნეობა, სულიერება და ტრადიცია. ლომჯარიამ ვერ პომადის წასმა ისწავლოს, ბაგეებს რომ ითხუპნის, და ადამიანის უფლებები მერე დაიცვას; საერთოდ ისტორიულად საქართველოს მოსახლეობა მაშინ კი არ იღებდა ხმას, როცა სოციალურად უჭირდა, არამედ მაშინ, როცა მის ღირსებას, სულიერებას და სარწმუნოებას შეურაცხყოფდნენ. დღეს, ვფიქრობ, რომ სწორედ ამ სამ რამეს შეურაცხყოფენ ყველაზე მეტად, ამიტომ ხალხი არ უნდა დადუმდეს... — ახლოვდება 17 მაისი. ამ დღეს საქართველო ოჯახის სინონიმის დღე აღინიშნება, ჩვენს „მეგობარ“ ევროპაში კი ჰომოფობიასა და ტრანსფობიის ებრძვინა. როგორ ფიქრობთ, მს მოხდება, თუ ხელისუფლება თუნდაც ძალის გამოყენებით მსსცემს ლგბტ-ებს მათთვის სასურველი ღონისძიებების ჩატარების საშუალებას? — არა მგონია, მსგავსი რამ ასე ადვილად და ერთი ხელის-მოსით გაბედონ, მაგრამ, თუ გაბედავენ, ეს იქნება ნყალგამყოფი. ხელისუფლება ძალიან ცდება, თუ თვლის, რომ, ერთი შეხედვით, ინერტული და იმედგაცრუებული საზოგადოება ყველაფერს შეეშება. ასეთი განცდა ჰქონდა თავის დროზე სააკაშვილს, როცა ყველაფერი გასდმოდა, როგორც დაამთავრა, ვნახეთ. საერთოდ, გმონია და, ალბათ, გეძრის აქვს დღეს ასეთი მოლოდინი, რომ ჩვენი საზოგადოება რაღაც ეტაპზე აფეთქდება. არ შეიძლება, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ტრადიციების ქვეყანაში ადამიანებმა გამუდმებით ითმინონ შეურაცხყოფა; არ შეიძლება, ხალხი დუმდეს, როცა ქვეყანა ალსასრულის პირასაა... ესაუბრა ჯაგა შვანია

«ნელ-ნელა პროცესები იმ მიმართულებით წაა, საკანონმდებლო ბაზა რომ შეუქმნადონ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას»

მეერთი საუკუნეში განათლებას ეხებოდა, როცა ადამიანი ნორმად აღიქმავს კაცის კაცზე და ქალის ქალზე მორალურად, ნორმად აღიქმავს მამაკაცს, რომელიც თავის ძალად მიიჩნევს და თხოვდება, თუმცა ეს კიდევ არ არის ყველაფერი. მაგალითად, ისეთი გავლენიანი ორგანიზაციის მხარდაჭერით, როგორცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გარკვეული ძალისხმევით ადამიანებს არწმუნებენ, რომ საკანონმდებლო სტანდარტებზე, რომლებიც თავის დროზე თვით ევროპაშიც დიდი საზოგადოებრივი მღელვარების ფონზე მიიღეს... — კონკრეტულად რას გულისხმობთ? — რას და, აქ უკვე ნელ-ნელა წაა პროცესები იმ მიმართულებით, რომ საკანონმდებლო ბაზა შეუქმნადონ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების შემოღებასაც გულისხმობს და სხვა რამესაც. თქვენ იცით, რომ გარკვეული ცხელი თავეები იმ უკველი იმედგაცრუებული საზოგადოების უფლებების სათავეში ყველაფერი მომჭირილი მონები და მონებს, კი არ მოუწოდებენ, უბრძანებენ თითის ქნევი... — სხვათა შორის, ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის

აი, ზუსტად ამის ფონზე „კანონის უფრო ეფექტიანად განხორციელება“ გულისხმობს იმას, რომ საქართველომ უფრო თანამიმ, უფრო გაბედული ნაბიჯები უნდა გადადგას — ნელ-ნელა დაიწყოს გადასვლა იმ დასავლურ საკანონმდებლო სტანდარტებზე, რომლებიც თავის დროზე თვით ევროპაშიც დიდი საზოგადოებრივი მღელვარების ფონზე მიიღეს... — კონკრეტულად რას გულისხმობთ? — რას და, აქ უკვე ნელ-ნელა წაა პროცესები იმ მიმართულებით, რომ საკანონმდებლო ბაზა შეუქმნადონ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების შემოღებასაც გულისხმობს და სხვა რამესაც. თქვენ იცით, რომ გარკვეული ცხელი თავეები იმ უკველი იმედგაცრუებული საზოგადოების უფლებების სათავეში ყველაფერი მომჭირილი მონები და მონებს, კი არ მოუწოდებენ, უბრძანებენ თითის ქნევი... — სხვათა შორის, ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის

დეგ იქნებოდა ასეთი დისკრედიტაციის გაშმაგებული კამპანია და არც, საზოგადოდ, ეკლესია ეყოლებოდათ მიზანში ამოღებულნი... რომელი ერთი ჩამოვთვლო, ეს ყველაფერი ხომ გარედან იყო თავსმოხვეული? გარდა ამისა, როდესაც ხელისუფლების დეკლარირებული პოლიტიკაა, რომ ევროპაშიც დიდი საზოგადოებრივი მღელვარების ფონზე მიიღეს... — კონკრეტულად რას გულისხმობთ? — რას და, აქ უკვე ნელ-ნელა წაა პროცესები იმ მიმართულებით, რომ საკანონმდებლო ბაზა შეუქმნადონ ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების შემოღებასაც გულისხმობს და სხვა რამესაც. თქვენ იცით, რომ გარკვეული ცხელი თავეები იმ უკველი იმედგაცრუებული საზოგადოების უფლებების სათავეში ყველაფერი მომჭირილი მონები და მონებს, კი არ მოუწოდებენ, უბრძანებენ თითის ქნევი... — სხვათა შორის, ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის

«საქართველოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა ისეთი ბარამო, რომელიც ყველას და ყველაფერს უფლება დაცულია, გარდა ეროვნულად მოაზროვნე ადამიანისა, ხალხისა, რომელმაც არ მიიღო „ლიბერალური ბარამონილება“ და გააიძვანა ამ ყველაფერს. ნახეთ, ყველაფერს, ყველაფერს არ მიიღო ქალაქის უფლები არიან სწორედ დასავლური აზრისი უფრო „ლიბერალიზმის“ ყურმობრილი მონები. პოლიტიკა, ბიზნესი, კალაუფლება, მთლიანად მათ ხელშია და სხვა იდეოლოგიის ადამიანს, უბრალოდ, პარსკაპტივა არ აქვს»

ესაუბრა ჯაგა შვანია

«განვითარების დიქტატი»



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხელისუფლებამ, ასე თუ ისე, მოახერხა ამომრჩევლების დარწმუნება იმაში, რომ „ქართული ოცნების“ წასვლა ნაციონალურ დაპყრობის ტოლფასია, რაც საზოგადოების კრიტიკულად დიდი ნაწილისთვის კატაგორიულად მიუღებელია. იმისთვის, რომ ამ მითის მსხვერპი დაიხსოს, უნდა გამოჩნდნენ ძლიერი ლიდერები, რომლებიც არც ერთ მხარესთან არ ასოცირდებიან და შეუძლიათ „კონსენსუსი წაერთიანონ“ შიქმანს, რომორც ეს სომხეთში ნიკოლ პაშინიანმა გააკეთა. მოახერხებს თუ არა ამას ალექსეი ელისაშვილი ის რომელიმე სხვა ლიდერი, რომელიც თავს „მისამე გზის“ განსახიერებად აცხადებს, და გაართმინდება თუ არა მის გარშემო სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები, საეჭვოა.

